საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/85

ქ. ბათუმი 22 დეკემბერი, 2020 წ.

,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2020 წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციისა და 2020-2021 სასწავლო წლის ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 9 ნოემბრის N01-02/143 ბრძანების,** „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში **საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით** შეტანილი ცვლილების),,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების,** „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის **მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბერის ბრძანების** (MES 2200001127365), ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების და ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N698 დადგენილების და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 16 დეკემბრის N1206618 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე **2020-2021 სასწავლო წლის** ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება:**

ა) დადგენილების **პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წელი 2015-2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის (ე. წ. I, II, III, IV, V, VI **და** VII **ნაკადებზე** ჩარიცხული პირები) წარიმართოს შემდეგი განრიგით:

ა) 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2020 წლის 26 ოქტომბერს და დასრულდეს 2021 წლის 21 თებერვალს;

ბ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 15 იანვრის ჩათვლით;

გ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 22 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 15 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით;

დ) გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია/აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილების შეტანის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 22-28 მარტი;

ე) **გაზაფხულის სემესტრის** სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2021 წლის 29 მარტს და დამთავრდეს 18 ივლისს;

ვ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 19 ივლისიდან 08 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 09-დან 15 აგვისტოს ჩათვლით;"

ბ) დადგენილების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1[1]. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე **2020-2021 სასწავლო წელი** 2021 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ჩარიცხული სტუდენტებისათვის **(შემდეგში - ,,VIII ნაკადზე"** ჩარიცხული პირები) წარიმართოს შემდეგი განრიგით:

ა) გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 25-31 იანვარი;

ბ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს **2021 წლის 01 თებერვლიდან** და დამთავრდეს 23 მაისს;

დ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 24 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 14 - დან 20 ივნისის ჩათვლით".

2. საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამართლებრივი აქტების, მოთხოვნათა (რეკომენდაციების) გათვალისწინებით, ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის ,,ა"-ფუნდრის

ცვლილებასთან ან/და სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის საჭიროების შემთხვევაში, იგი გამოსცეს ბსუ-ს რექტორმა.

3. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ შესაბამისმა **ფაკულტეტმა აცნობოს პროგრამის სტუდენტებს,** სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა ელექტრონული სერვისის საშუალებით.

4. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე **იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს კოდიფიცირებული** 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილება და სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარედგინოს ბსუ-ს რექტორს, ინგლისურ ენაზე თარგმნისათვის მთარგმნელს (ნანა მაზმიშვილს) და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე („სწავლა"- „აკადემიური კალენდარი" და ინგლისურენოვან ველში „სტუდენტის გზამკვლევში' ახალი ჩანართის - „აკადემიური კალენდარი" დამატებისათვის).

5. დადგენილება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

6. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**